ევროპული კონვენცია სისხლის სამართლებრივ განაჩენთა საერთაშორისო აღიარების შესახებ

ჰაგა, 28.V.1970წ.

პრეამბულა

ქვემორე ხელის მომწერი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები,

მიიღებს რა მხედველობაში, რომ დანაშაულთან ბრძოლა, სულ უფრო დიდი საერთაშორისო პრობლემა ხდება, მოითხოვს თანამედროვე და ეფექტური მეთოდების გამოყენებას საერთაშორისო დონეზე;

დარწმუნდნენ რა საზოგადოების დასაცავად საერთო სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობაში;

გააცნობიერეს რა ადამიანის ღირსების დაცვისა და დამნაშავეა რეაბილიტაციის ხელშეწყობის აუცილებლობა;

მიიღებს რა მხედველობაში, რომ ევროპის საბჭოს მიზანი არის მის წევრთა შორის უფრო დიდი ერთიანობის მიღწევა,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

თავი I
განსაზღვრებები

მუხლი – 1

ამ კონვენციის მიზნებისათვის:

*ა) **„ევროპული სისხლის სამართლებრივი განაჩენი“** ნიშნავს ხელშემკვრელი მხარის სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ სისხლის სამართლებრივი პროცესების შედეგად მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებას;*
*ბ) **„დანაშაული“** სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული ქმედების გარდა, მოიცავს ქმედებებს, რომლებსაც კავშირი აქვთ წინამდებარე კონვენციის **II** დანართში წარმოდგენილი სამართლებრივ დებულებებთან იმ პირობით, რომ სადაც ეს დებულებები კომპეტენციას ადმინისტრაციულ ორგანოებს ანიჭებს პიროვნებას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მისი საქმე განხილულ იქნას სასამართლოში;*
*გ) **„განაჩენი“** ნიშნავს სანქციის შეფარდებას;*
*დ) **„სანქცია“** ნიშნავს ნებისმიერ სასჯელს ან სხვა ზომას, რომელიც საგანგებოდ შეეფარდება პირს დანაშაულთან დაკავშირებით, ევროპული სისხლის სამართლებრივი განაჩენით, ან **ordonnance penal**-ით;*
*ე) **„დისკვალიფიცირება“** ნიშნავს უფლების ნებისმიერი სახით დაკარგვას ან გაუქმებას ან სამართლებრივი ქმედუნარიანობის ნებისმიერი სახით აკრძალვას ან დაკარგვას;*
*ვ) **„in absentia“ გამოტანილი განაჩენი** ნიშნავს 21-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებას;*

ზ) „ordonnance penal“ ნიშნავს სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოში მიღებულ და ამ კონვენციის III დანართში ჩამოთვლილ ნებისმიერ გადაწყვეტილებას.

თავი II
ევროპული სისხლის სამართლებრივი განაჩენის აღსრულება
ნაწილი I ზოგადი დებულებები

ა – აღსრულების ზოგადი პირობები

მუხლი – 2

ეს ნაწილი გამოიყენება:

ა) იმ სანქციების მიმართ, რომლებიც თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებენ;
ბ) ჯარიმებისა ან კონფისკაციის შემთხვევებში;
გ) დისკვალიფიკაციის დროს.

მუხლი – 3

ა) ამ კონვენციით გათვალისწინებულ შემთხვევებში და პირობებში ხელშემკვრელი სახელმწიფო კომპეტენტური იქნება აღასრულოს სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოში შეფარდებული სანქცია, თუ მისი აღსრულება ამ უკანასკნელში შესაძლებელია.
ბ) ამ კომპეტენციის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიღებულია სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოთხოვნა.

მუხლი – 4

1. სანქცია არ აღსრულდება სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოში, თუ მისი კანონმდებლობის თანახმად, მის ტერიტორიაზე ჩადენილი ის ქმედება, რომლის საფუძველზეცარის შეფარდებული სანქცია არ ჩაითვლება დანაშაულად, ხოლო პირი, რომელსაც სანქცია შეეფარდა, არ ჩაითვლება დამნაშავედ იგივე ქმედების მის ტერიტორიაზე ჩადენის შემთხვევაში.

2. თუ განაჩენი დაკავშირებულია ორ ან მეტ დანაშაულთან, რომელთაგანაც ყველა არ აკმაყოფილებს ამ მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნებს, განაჩენის გამომტანი სახელმწიფო მიუთითებს სანქციების რომელი ნაწილი მიესადაგება იმ დანაშაულებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ მოთხოვნებს.

მუხლი – 5

განაჩენის გამომტან სახელმწიფოს შეუძლია მოსთხოვოს სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოს სანქციის აღსრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესრულებულია ჩამოთვლილი პირობებიდან ერთ-ერთი:

ა) თუ მსჯავრდებული პირის ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი არის სხვა სახელმწიფოში;
ბ) თუ განაჩენის აღსრულება სხვა სახელმწიფოში გააუმჯობესებს მსჯავრდებული პირის სოციალური რეაბილიტაციის პერსპექტივას;
გ) თუ თავისუფლების აღკვეთის შესახებ განაჩენის არსებობის შემთხვევაში, განაჩენის აღსრულება შესაძლებელი იქნებოდა თავისუფლების აღკვეთის სხვა განაჩენის აღსრულების შემდეგ, რომელსაც პირი იხდის ან უნდა მოიხადოს სხვა სახელმწიფოში;
დ) თუ სხვა სახელმწიფო არის მსჯავრდებული პირის წარმოშობის სახელმწიფო და განაცხადებს სურვილს აიღოს პასუხისმგებლობა ამ განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებით;
ე) თუ იგი მიიჩნევს რომ თავად ვერ აღასრულებს განაჩენს რომც ჰქონდეს ექსტრადიციის შესაძლებლობა, და რომ განაჩენის აღსრულებას შეძლებს სხვა სახელმწიფო.

მუხლი – 6

მიმდინარე პროცედურების შესაბამისად მოთხოვნილ აღსრულებაზე ნაწილობრივ ან მთლიანად უარის თქმა არ შეიძლება, გარდა:

ა) თუ აღსრულება ეწინააღმდეგება თხოვნის მიმღები სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის ფუნდამენტალურ პრინციპებს;
ბ) თუ თხოვნის მიმღები სახელმწიფო მიიჩნევს, რომ დანაშაული, რომლის საფუძველზეც იქნა გამოტანილი განაჩენი, პოლოტიკური, ან წმინდა სამხედრო ხასიათისაა;
გ) თუ თხოვნის მიმღები სახელმწიფომიიჩნევს, რომ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ განაჩენი გამოტანილი ან დამძიმებული იქნა რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან პოლიტიკური შეხედულებების გამო;
დ) თუ აღსრულება ეწინააღმდეგება თხოვნის მიმღები სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებებს;
ე) თუ ქმედებასთან დაკავშირებით თხოვნის მიმღებ სახელმწიფოში უკვე აღძრულია პროცესი ან თუ თხოვნის მიმღები სახელმწიფო გადაწყვეტს აღძრას პროცესი ამ ქმედებასთან დაკავშირებით;
ვ) როდესაც თხოვნის მიმღები სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები გადაწყვეტენ არ დაიწყონ პროცესი ან შეაჩერონ უკვე დაწყებული პროცესი ერთსა და იმავე ქმედებასთან დაკავშირებით;
ზ) როდესაც ქმედება მომთხოვნი სახელმწიფოს ტერიტორიის გარეთ იყო ჩადენილი;
თ) როდესაც თხოვნის მიმღებ სახელმწიფოს არ შეუძლია სანქციის აღსრულება;
ი) როდესაც მოთხოვნა ეფუძვნება მე-5 მუხლის „ე“ ნაწილს და არ არის შესრულებული არც ერთი სხვა პირობა;
კ) როდესაც თხოვნის მიმღები სახელმწიფო მიიჩნევს, რომ მომთხოვნ სახელმწიფოს თავად შეუძლია სანქციის აღსრულება;
ლ) როდესაც დანაშაულის ჩადენის დროს პირი, რომელსაც შეეფარდა სანქცია, ისეთ ასაკში იყო, რომ მის წინააღმდეგ თხოვნის მიმღებ სახელმწიფოში სამართლებრივი დევნა ვერ განხორციელდებოდა;
მ) როდესაც სანქციის აღსრულება შეუძლებელია თხოვნის მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობის თანახმად დამდგარი ხანდაზმულობის გამო;
ნ) როდესაც სანქცია ადგენს უფლებაუუნარობას.

მუხლი – 7

აღსრულების შესახებ მოთხოვნა არ აღსრულდება, თუ მისი აღსრულება ეწინააღმდეგება ამ კონვენციის **III** თავის 1-ლი ნაწილის დებულებებში აღიარებულ პრინციპებს.

ბ – აღსრულების გადაცემის შედეგები

მუხლი – 8

წინამდებარე კონვენციის მე-6 მუხლის 1 პუნქტისა და **I** დანართის „ც“ პუნქტში აღნიშნული დათქმის მიზნებისათვის ნებისმიერი ქმედება, რომელიც ხელს შეუშლის ან გააჭიანურებს განაჩენის გამომტანი სახელმწიფოს ორგანოების მიერ ძალაში ყოფნისათვის აუცილებელი დროის ხანგრძლივობას განიხილება როგორც იგივე შედეგის მქონე, რაც საჭიროა თხოვნის მიმღები მხარის კანონმდებლობის თანახმად დროის ლიმიტის ათვლისათვის.

მუხლი – 9

1. იმ მსჯავრდებული პირის წინააღმდეგ, რომელიც დაკავებულ იქნა მომთხოვნ სახელმწიფოში და რომელიც გადასცეს თხოვნის მიმღებ სახელმწიფოს განაჩენის აღსრულების მიზნით, არ შეიძლება საქმის აღძვრა, განაჩენის შეფარდება ან დაპატიმრება, გადაცემამდე მის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო, გარდა იმ დანაშაულისა, რომლისათვისაც მას შეეფარდა თხოვნის მიმღებ

სახელმწიფოში აღსასრულებელი სასჯელი; ასევე არ შეიძლება ნებისმიერი სხვა მიზეზით მისი პირადი თავისუფლების შეზღუდვა გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

ა) როდესაც მისი გადამცემი სახელმწიფო თანხმობას გამოითქვამს. თანხმობის მოთხოვნა გადაიცემა ყველა თანმხლებ დოკუმენტთან და მსჯავრდებული პირის მიერ დანაშაულთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებების ჩანაწერებთან ერთად. თანხმობა უნდა მიეცეს იმ შემთხვევაში, თუ ჩადენილი დანაშაული თავად წარმოადგენს ექსტრადიციის საფუძველს აღსრულების მომთხოვნი სახელმწიფოს კანონმდებლობის თანახმად ან თუ ექსტრადიცია გამორიცხულია მხოლოდ სასჯელის სიდიდის გამო;
ბ) როდესაც მსჯავრდებულ პირს ჰქონდა შესაძლებლობა დაეტოვებინა იმ ქვეყნის ტერიტორია, რომელსაც იგი გადასცემს და საბოლოო გათავისუფლებიდან 45 დღის განმავლობაში არ დატოვა იგი, ან დაბრუნდა ამ ტერიტორიაზე მისი დატოვების შემდეგ.

2. თუმცა, თხოვნის მიმღებ სახელმწიფოს შეუძლია მიიღოს ნებისმიერი ზომა რათა გაიყვანოს პირი თავისი სახელმწიფოს ტერიტორიიდან, ან მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი ზომა, რათა თავიდან აიცილოს ვადის ამოწურვით გამოწვეული სამართლებრივი შედეგები.

მუხლი – 10

1. აღსრულება გადაწყდება თხოვნის მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით და მხოლოდ ეს სახელმწიფო იქნება უფლებამოსილი მიიღოს ყველა სათანადო გადაწყვეტილება, მაგალითად პირობითი გათავისუფლების შესახებ.

2. განაჩენის გადასინჯვასთან დაკავშირებით გაკეთებულ ყველა მიმართვაზე მხოლოდ მომთხოვნ სახელმწიფოს ექნება გადაწყვეტილების მიღების უფლება.

3. ორივე სახელმწიფოს აქვს ამნისტიისა თუ შეწყალების უფლება.

მუხლი – 11

1. მას შემდეგ, რაც განაჩენის შემფარდებელი სახელმწიფო მოითხოვს მის არსრულებას სხვა სახელმწიფოში, მას აღარ აქვს უფლება თავად დაიწყოს იმ განაჩენის აღსრულება, რომელზეც გაკეთებულია მოთხოვნა. თუმცა, მომთხოვნ სახელმწიფოს შეუძლია თავისუფლების აღკვეთის განაჩენის აღსრულება, თუ მოთხოვნის წარდგენის დროს მსჯავრდებული პირი უკვე იმყოფება პატიმრობაში ან ქვეყნის ტერიტორიაზე.

2. აღსრულების უფლება დაუბრუნდება მომთხოვნ სახელმწიფოს შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ იგი გამოითხოვს მოთხოვნას მანამდე ვიდრე თხოვნის მიმღები სახელმწიფო არ აცნობებს მას თხოვნის არსრულების განზრახვის თაობაზე;
ბ) თუ თხოვნის მიმღები სახელმწიფო უარს განაცხადებს მოთხოვნის აღსრულებაზე;
გ) თუ მოთხოვნილი სახელმწიფო ცალსახად დაკარგავს აღსრულების უფლებას. ასეთი დაკარგვა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ორივე შესაბამისი სახელმწიფო შეთანხმდება, ან თუ აღსრულება აღარ არის შესაძლებელი თხოვნის მიმღებ სახელმწიფოში. უკანასკნელ შემთხვევაში მომთხოვნი სახელმწიფოს განცხადებით უფლების შეწყვეტა სავალდებულოა.

მუხლი – 12

1. თხოვნის მიმღები სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოები შეწყვეტენ აღსრულებას, მას შემდეგ, რაც მიიღებენ შეტყობინებას შეწყალების, ამნისტიისა ან განაჩენის გადასინჯვის ან ნებისმიერი სხვა მიზეზის შესახებ, რომლის გამოც განაჩენის აღსრულება უნდა შეწყდეს. ივივე შეესაბამება ჯარიმის გადახდის აღსრულებას, როდესაც მსჯავრდებული პირი გადაუხდის მას მომთხოვნი სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოს.

2. მომთხოვნი სახელმწიფო დაუყოვნებლივ აცნობებს თხოვნის მიმღებ სახელმწიფოს მის ტერიტორიაზე მიღებული ნებისმიერი ისეთი გადაწყვეტილების ან პროცესუალური ზომის შესახებ, რომელიც წინა პუნქტის შესაბამისად, წყვეტს აღსრულების უფლების მოქმედებას.

C – განსხვავებული დებულებები

მუხლი – 13

1. ამ კონვენციის განხორციელებისას ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიის გავლით იმ მსჯავრდებული პირის ტრანზიტით გადაყვანა, რომელიც უნდა გადაეცეს მესამე ხელშემკვრელ სახელმწიფოს, დაიშვება იმ სახელმწიფოს მოთხოვნის საფუძველზე, რომელშიც დაპატიმრებულია პირი. მოთხოვნაზე გადაწყვეტილების მიღებამდე სატრანზიტო სახელმწიფოს შეუძლია მოითხოვოს სათანადო დოკუმენტის თანდართვა. სატრანზიტო სახელმწიფოს ტერიტორიაზე გადაყვანის დროს პირი უნდა იმყოფებოდეს ბადრაგის ქვეშ, თუ ის სახელმწიფო, რომლიდანაც იგი გადაჰყავთ არ მოითხოვს მის გათავისუფლებას.

2. 34-ე მუხლის შესაბამისად თხოვნის მიმღები გადაყვანის შემთხვევების გარდა ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია გადაყვანაზე უარის თქმა, თუ:

ა) მე-6 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტებში მოყვანილი საფუძვლების არსებობისას;
ბ) გადასაყვანი პიროვნება ამ ქვეყნის მოქალაქეა.

3. საჰაერო ტრანსპორტის გამოყენების შემთხვევაში, მოქმედებს შემდეგი დებულებები:

ა) როდესაც თვითმფრინავი არ აპირებს დაშვებას, სახელმწიფოს, საიდანაც პირი გადაჰყავთ, შეუძლია შეატყობინოს სახელმწიფო, რომლის ტერიტორიის გავლითაც სრულდება ფრენა, რომ პირი გადაყავთ ამ კონვენციის შესაბამისად. დაუგეგმავი დაშვების დროს ასეთ შეტყობინებას ექნება წინასწარი დაპატიმრების მოთხოვის ძალა, როგორც ეს გათვალისწინებულია 32-ე მუხლის 2-ე პუნქტით და გაკეთდება ფორმალური მოთხოვნა გადაყვანის შესახებ;
ბ) როდესაც დაშვება დაგეგმილია, უნდა გაკეთდეს ფორმალური მოთხოვნა გადაყვანის შესახებ.

მუხლი – 14

ხელშემკვრელი სახელმწიფოები არ მოსთხოვენ ერთმანეთს კონვენციის გამოყენებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას.

ნაწილი 2 აღსრულების მოთხოვნები

მუხლი – 15

1. ამ კონვენციით გატვალისწინებული ყველა მოთხოვნა უნდა შესრულდეს წერილობით. ისინი, და მათთან ერთად კონვენციის გამოყენებისათვის აუცილებელი ყველაწერილობითი დოკუმენტი, უნდა გადაეგზავნოს ან მომთხოვნი სახელმწიფოს იუსტიციის სამინისტროს მიერ თხოვნის მიღები მხარის იუსტიციის სამინისტროში, ან თუ ხელშემკვრელი სახელმწიფოები ასე შეთანხმდებიან, უშუალოდ მომთხოვნი ხელშემკვრელი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოდან თხოვნის მიმღები სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოში; მათი დაბრუნებაც ივივე გზებით უნდა მოხდეს.

2. აუცილებლობის შემთხვევაში, მოთხოვნები და წერილობითი დოკუმენტები შესაძლოა გადაიგზავნოს საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაციის (ინტერპოლის) მეშვეობით.

3. ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული განცხადებით შეატყობინოს თავისი განზრახვა ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ წერილობით დოკუმენტებთან დაკავშირებით სხვა წესების მიღების შესახებ.

მუხლი - 16

აღსრულების შესახებ მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს იმ გადაწყვეტილების დედანი ან დამოწმებული ასლი, რომლის აღსრულებასაც მოითხოვს ხელშემკვრელი სახელმწიფო ყველა სხვა აუცილებელ დოკუმენტთან ერთად. შესხლის სამართლის საქმის ან მისი ნაწილის დედანი ან დამოწმებული ასლი უნდა გაეგზავნოს თხოვნის მიმღებ სახელმწიფოს, თუ უკანასკნელი ამას მოითხოვს. ხელშემკვრელი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანო დაადასტურებს განაჩენის აღსრულებადობას.

მუხლი - 17

თუ თხოვნის მიმღებ სახელმწიფოს მიაჩნია, რომ მომთხოვნი სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია არ არის საკმარისი ამ კონვენციის ასამოქმედებლად, იგი მოითხოვს აუცილებელ დამატებით ინფორმაციას. მას შეუძლია განსაზღვროს ასეთი ინფორმაციის მიღების თარიღი.

მუხლი - 18

1. თხოვნის მიმღები სახელმწიფოს ორგანოები დაუყოვნებლივ შეატყობინებენ მომთხოვნი სახელმწიფოს ორგანოებს მოთხოვნის შესაბამისად განხორციელებული მოქმედების შესახებ.

2. თხოვნის მიმღები სახელმწიფოს ორგანოები, საჭიროების შემთხვევაში, გადასცემენ მომთხოვნი სახემლწიფოს ორგანოებს განაჩენის აღსრულების დამადასტურებელ დოკუმენტს.

მუხლი - 19

1. ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მოთხოვნისა თანდართული დოკუმენტების თარგმანი არ არის საჭირო.

2. ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს, კონვენციის ხელმოწერისა ან სარატიფიკაციო სიგელის დეპონირებისათვის ჩაბარების დროს, შეუძლია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული განცხადებით შეინარჩუნოს მოთხოვნისა და თანდართული დოკუმენტების მის სახელმწიფო ენაზე, ან ევროპის საბჭოს ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე, ან მის მიერ მითითებულ რომელიმე ენაზე თარგმნის მოთხოვნის უფლება. ამ შემთხვევაში ამ სახელმწიფოსაგან სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შეუძლიათ მოითხოვონ იგივე.

3. ეს მუხლი არ შეეხება ორ ან მეტ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შორის ძალაში მყოფი ან მოსალოდნელი შეთანხმებებისა ან ხელშეკრულების მოთხოვნებისა და თანდართული დოკუმენტების თარგმნასთან დაკავშირებულ დებულებებს.

მუხლი - 20

ამ კონვენციის გამოყენებისას გადაცემული მტკიცებულებებისა და დოკუმენტების დამოწმება არ არის საჭირო.

ნაწილი 3 – in absentia გამოტანილი განაჩენები და ordonnances penales

მუხლი – 21

1. თუ ამ კონვენციით სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული in absentia გამოტანილი განაჩენი და ordonnances penales აღსრულდება ისევე, როგორც სხვა განაჩენები.

2. მე-3 პუნქტით გათვალისწინებულის გარდა, ამ კონვენციის მიზნებისათვის განაჩენი in absentia ნიშნავს ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლოს მიერ იმ პროცესის დასრულების შედეგად გამოტანილ განაჩენს, რომელსაც მსჯავრდებული პირი პირადად არ ესწრებოდა.

3. 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 26-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 29-ე მუხლისათვისზიანის მიუყენებლად, შემდეგი ჩაითვლება ბრალდებულის მოსმენის შემდეგ გამოტანილ განაჩენად:

ა) ნებისმიერი განაჩენი in absentia ან ordonnances penales, რომელიც დადასტურდა ან გამოცხადდა მსჯავრდებელ სახელმწიფოში მსჯავრდებულის წინააღმდეგობის შემდეგ;
ბ) ნებისმიერი განაჩენი in absentia აპელაციის საფუძველზე, თუ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების აპელაცია მოახდინა მსჯავრდებულმა.

მუხლი – 22

ნებისმიერი in absentia გამოტანილი განაჩენი და ნებისმიერი ordonnances penales, რომელიც არ გასაჩივრებულა, მათი გამოტანისთანავე უნდა გადაიგზავნოს თხოვნის მიმღებ სახელმწიფოში შეტყობინებისა და აღსრულების მიზნით.

მუხლი – 23

1. თუ თხოვნის მიმღები სახელმწიფო საჭიროდ ჩათვლის მოთხოვნის აღსრულებისათვის მოქმედების დაწყებას in absentia გამოტანილ განაჩენზე ან ordonnances penales-ზე იგი პირადად შეატყობინებს მსჯავრდებულ პირს თხოვნის მიმღებ სახელმწიფოში მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

2. მსჯავრდებული პირის შეტყობინება ასევე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას:

ა) რომ მოთხოვნა აღსრულების შესახებ წარმოდგენილ იქნა ამ კონვენციის შესაბამისად;
ბ) რომ გასაჩივრების ერთად ერთი შესაძლებლობა გათვალისწინებულია ამ კონვენციის 24-ე მუხლში;
გ) რომ გასაჩივრება უნდა წარედგინოს საგანგებოდ განსაზღვრულ ორგანოს; რომ გასაჩივრების დაშვების მიზნით იგი ექვემდებარება ამ კონვენციის 24-ე მუხლის დებულებებს და რომ მსჯავრდებულ პირს შეუძლია სთხოვოს განაჩენის გამომტან სახელმწიფოს ორგანოებს მისი მოსმენა;
დ) რომ, თუ დადგენილ ვადაში სარჩელი არ იქნება წარდგენილი, ამ კონვენციის მიზნებისათვის განაჩენი ჩაითვლება ბრალდებულის მოსმენის შემდეგ გამოტანილ განაჩენად.

3. შეტყობინების ასლი დროულად უნდა გაეგზავნოს აღსრულების მომთხოვნ ორგანოს.

მუხლი – 24

1. მას შემდეგ, რაც შეტყობინება გადაწყვეტილების შესახებ გადაცემულ იქნება 23-ე მუხლის შესაბამისად მსჯავრდებული პირისათვის ერთად ერთ საშუალებად დარჩება გასაჩივრება. ასეთი გასაჩივრება შეიძლება, მსჯავრდებული პირის არჩევანის მიხედვით, განხილულ იქნას მომთხოვნი ან თხოვნის მიმღები სახელმწიფოს უფლებამოსილი სასამართლოს მიერ. თუ მსჯავრდებული არ გააკეთებს არჩევანს, გასაჩივრებას განიხილავს თხოვნის მიმღები სახელმწიფოს უფლებამოსილი სასამართლო.

2. წინა პუნქტში მოყვანილ შემთხვევებში გასაჩივრება დასაშვები იქნება, თუ იგი წარდგენილია თხოვნის მიმღები სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს წინაშე შეტყობინების გადაცემიდან 30 დღის განმავლობაში. ეს პერიოდი გამოითვლება თხოვნის მიმღები სახელმწიფოს შესაბამისი კანონის მიერდადგენილი წესის თანახმად. მ სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანო დროულად შეატყობინებს აღსრულების მომთხოვნ ორგანოს.

მუხლი – 25

1. თუ გასაჩივრება განიხილება მომთხოვნ სახელმწიფოში, მსჯავრდებულ პირს გამოიძახებენ ამ სახელმწიფოს სასამართლოში ახალ მოსმენაზე. შეტყობინება სასამართლოში გამოცხადების შესახებ მას პირადად გადაეცემა ახალ მოსმენამდე არა უგვიანეს 21 დღისა. მსჯავრდებული პირის თანხმობით ეს პერიოდი შეიძლება შემცირდეს. ახალი მოსმენა გაიმართება მომთხოვნი სახელმწიფოს უფლებამოსილ სასამართლოში და ამ სახელმწიფოს კანონით დადგენილი პროცედურული წესის შესაბამისად.

2. თუ მსჯავრდებული პირი პირადა ვერ გამოცხადდება ან არ იქნება წარმოდგენილი მომთხოვნი სახელმწიფოს კანონის შესაბამისად, სასამართლო გასაჩივრებას ბათილად და ძალის არმქონედ გამოაცხადებს და ამ გადაწყვეტილებას გადასცემს თხოვნის მიმღები სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოს. იგივე პროცედურაა გათვალისწინებული თუ სასამართლო გასაჩივრებას დაუშვებლად გამოაცხადებს. ორივე შემთხვევაში **in absentia** გამოტანილი განაჩენი და **ordonnances penale**, კონვენციის მიზნებისათვის, ჩაითვლება ბრალდებულის მოსმენის შემდეგ გამოტანილად.

3. თუ მსჯავრდებული პირი პირადად გამოცახდდება ან წარმოდგენილი იქნება მომთხოვნი სახელმწიფოს კანონის შესაბამისად და თუ გასაჩივრება დასაშვებად გამოცხადდება, აღსრულების მოთხოვნა ჩაითვლება ბათილად და ძალის არმქონედ.

მუხლი – 26

1. თუ გასაჩივრება განიხილება თხოვნის მიმღებ სახელმწიფოში მსჯავრდებულ პირს გამოიძახებენ ამ სახელმწიფოს სასამართლოში ახალ მოსმენაზე. შეტყობინება სასამრთლოში გამოცხადების შესახებ მას პირადად გადაეცემა ახალ მოსმენამდე არა უგვიანეს 21 დღისა. სჯავრდებული პირის თანხმობით ეს პერიოდი შეიძლება შემცირდეს. ახალი მოსმენა გაიმართება მომთხოვნი სახელმწიფოს უფლებამოსილ სასამარტლოში და ამ სახელმწიფოს კანონით დადგენილი პროცედურული წესის შესაბამისად.

2. თუ მსჯავრდებული პირი პირადად ვერ გამოცხადდება ან არ იქნება წარმოდგენილი თხოვნის მიმღები სახელმწიფოს კანონის შესაბამისად, სასამართლო გასაჩივრებას ბათილად და ძალის არმქონედ გამოაცხადებს. იმ შემთხვევაში თუ სასამართლო გასაჩივრებას დაუშვებლად გამოაცხადებს in absentia გამოტანილი განაჩენი და ordonnances penales კონვენციის მიზნებისათვის, ჩაითვლება ბრალდებულის მოსმენის შემდეგ გამოტანილად.

3. თუ მსჯავრდებული პირი პირადად გამოცახდდება ან წარმოდგენილი იქნება თხოვნის მიმღები სახელმწიფოს კანონის შესაბამისად და თუ გასაჩივრება დასაშვებად გამოცხადდება ქმედება განიხილება, როგორც ჩადენილი ამ სახელმწიფოში. ვადის ამოწურვის გამო პროცესის შეჩერება

არანაირ გარემოებებში არ დაიშვება. ომთხოვნ სახელმწიფოში გამოტანილი განაჩენი გამოცხადდება ბათილად და ძალის არმქონედ.

4. განაჩენის გამომტან სახელმწიფოში მისი კანონმდებლობის შესაბამისად, პროცესუალური თუ გამოძიების მიზნებისათვის გადადგმულ ნებისმიერ ნაბიჯს თხოვნის მიმღებ სახელმწიფოში ისეთივე ძალა ექნება, როგორც ამ უკანასკნელის ორგანოების მიერ განხორციელებულს, იმ პირობით, რომ ასეთი ასიმილაცია არ ანიჭებს ამ ზომებს უფრო დიდ მტკიცებულებით წონას, ვიდრე მათ აქვთ მომთხოვნ სახელმწიფოში.

მუხლი - 27

გასაჩივრების წარდგენისა და შემდგომი პროცედურების მიზნით, პირი, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილ იქნა განაჩენი in absentia და ordonnance penale უფლებამოსილი იქნება მიიღოს სამართლებრივი დახმარება თხოვნის მიმღები, ან სადაც შეესაბამება, მომთხოვნი სახელმწიფოს კანონით დადგენილ პირობებსა და შემთხვევებში.

მუხლი - 28

26-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად გამოტანილი ნებისმიერი სასამართლო გადაწყვეტილება და მისი აღსრულება განხორციელდება მხოლოდ თხოვნის მიმღები სახელმწიფოს კანონის მიხედვით.

მუხლი - 29

თუ პირი, რომელსაც შეეფარდა in absentia და ordonnance penale არ წარმოადგენს გასაჩივრებას, ამ კონვენციის მიზნებისათვის, გადაწყვეტილება ჩაითვლება ბრალდებულის მოსმენის შემდეგ გამოტანილად.

მუხლი - 30

ეროვნული კანონმდებლობები გამოიყენება თუ მსჯავრდებული პირი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ შეძლებს 24-ე, 25-ე და 26-ე მუხლებში მოყვანილი ვადების დაცვის საქმის ხელახალ განხილვაზე პირადად გამოცხადებას.

ნაწილი - 4
დროებითი ზომები

მუხლი - 31

თუ, მას შემდეგ, რაც მოთხოვნის გამგზავნ სახელმწიფოში მიღებულია თანხმობა თავისუფლების აღკვეთის განაჩენის აღსრულებაზე, მსჯავრდებული პირი იმყოფება მის ტერიტორიაზე ან სახელმწიფოს, თუ აღსრულებისათვის აუცილებლად მიაჩნია, დააპატიმროს იგი 43-ე მუხლის დებულებების შესაბამისად მისი შემდგომი გადაცემის მიზნით.

მუხლი - 32

1. თუ მომთხოვნმა სახემლწიფომ მოითხოვა აღსრულება, თხოვნის მიმღები სახელმწიფო დააპატიმრებს მსჯავრდებულ პირს:

ა) თუ თხოვნის მიმღები სახელმწიფოს კანონის შესაბამისად, დანაშაული ამართლებს პატიმრობაში აყვანას, და
ბ) თუ არის მართმსაჯულებისაგან დამალვის საშიშროება, ან in absentia გამოტანილი განაჩენის შემთხვევაში მტკიცებულების დაფარვის საშიშროება.

2. თუ მომთხოვნი სახელმწიფო განაცხადებს თავისი განზრახვის შესახებ მოითხოვოს აღსრულება, თხოვნის მიმღებ სახელმწიფოს შეუძლია, მომთხოვნი სახელმწიფოს მიმართვის საფუძველზე, დააპატიმროს მსჯავრდებული პირი, თუ დაკმაყოფილებულია ა) და ბ) პუნქტების მოთხოვნები. ხსენებულ მიმართვაში გაცხადებული უნდა იყოს განაჩენის გამომწვევი დანაშაულის შესახებ, მისი ჩადენის დროისა და ადგილის შესახებ და უნდა შეიცავდეს მსჯავრდებული პირის შეძლებისდაგვარად დაწვრილებით აღწერილობას. იგი ავრეთვე უნდა შეიცავდეს იმ ფაქტების მოკლე ჩამონათვალს, რომელთა საფუძველზეც იქნა გამოტანილი განაჩენი.

მუხლი – 33

1. მსჯავრდებული პატიმრობაში იქნება თხოვნის მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად; ამ სახელმწიფოს კანონმდებლობა ავრეთვე განსაზღვრავს იმ პირობებს, რომელშიც ის შეიძლება გათავისუფლდეს.

2. პატიმრობაში მყოფი პირი ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გათავისუფლდეს:

ა) განაჩენით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის ვადის გასვლის შემდეგ;
ბ) თუ იგი დაპატიმრებულ იქნა 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და თხოვნის მიმღებმა სახელმწიფომ დაპატიმრებიდან 18 დღის განმავლობაში არ მიიღო მოთხოვნა მე-16 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების თანხლებით.

მუხლი – 34

1. 32-ე მუხლის შესაბამისად თხოვნის მიმღებ სახელმწიფოში პატიმრობაში მყოფი პირი, რომელიც, 25-ე მუხლის შესაბამისად მის მიერ წარმოდგენილი გასაჩივრების გამო გამოძახებულია მომთხოვნი სახელმწიფოს უფლებამოსილ სასამართლოში, გადაყვანილ იქნება ამ მიზნით მომთხოვნი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

2. გადაყვანის შემდეგ ხსენებული პირი არ იქნება პატიმრობაში აყვანილი მომთხოვნ სახელმწიფოში, თუ დაცულია 33-ე მუხლის მე-2 ა) ქვეპუნქტის მოთხოვნები დაცულია ან თუ მომთხოვნი სახელმწიფო აღარ მოითხოვს შემდგომი განაჩენის აღსრულებას. თუ არ გათავისუფლდება, პირი დროულად დაუბრუნდება თხოვნის მიმღებ სახელმწიფოს.

მუხლი – 35

1. მის მიერ წარმოდგენილი გასაჩივრების შედეგად მომთხოვნი სახელმწიფოს უფლებამოსილი სასამართლოს წინაშე გამოძახებული პირის წინააღმდეგ არ განხორციელდება პროცესუალური მოქმედება, არ გამოიტანება განაჩენი და იგი არ იქნება აყვანილი პატიმრობაში განაჩენის აღსრულების ან დაპატიმრების ბრძანების შესრულების მიზნით, ავრეთვე მას ნებისმიერი სხვა მიზეზით არ შეეზღუდება პირადი თავისუფლება იმ ქმედებისა თუ დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილ იქნა მის მიერ თხოვნის მიმღები სახელმწიფოს ტერიტორიის დატოვებამდე და რომელიც არ არის ცალსახად მითითებული გამოძახებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი წერილობით დათანხმდება ამაზე.

2. წინა პუნქტით გათვალისწინებული შედეგები შეწყვეტს მოქმედებას, როდესაც გამოძახებული პირი მას შემდეგ, რაც ჰქონდა ამის შესაძლებლობა, ახალი მოსმენის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების თარიღიდან 15 დღის განმავლობაში არ დატოვებს მომთხოვნი სახელმწიფოს ტერიტორიას ან თუ გამოძახების გარეშე დაბრუნდება იქ ამ ტერიტორიის დატოვების შემდეგ.

მუხლი –36

1. თუ მომთხოვნმა სახელმწიფომ მოითხოვა საკუთრების კონფისკაციის აღსრულება, თხოვნის მიმღებ სახელმწიფოს შეუძლია დროებით დააკავოს ეს საკუთრება, იმ პირობით, თუ მისი კანონმდებლობა ითვალისწინებს დაკავებას მსგავს შემთხვევებში.

2. დაკავება განხორციელდება თხოვნის მიმღებ სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით, რომელიც ასევე განსაზღვრავს დაკავების გაუქმების პირობებს.

ნაწილი 5 სანქციათა აღსრულება

ა – ზოგადი დებულებები

მუხლი – 37

მომთხოვნ სახელმწიფოში შეფარდებული სანქცია არ აღსრულდება თხოვნის მიმღები სახელმწიფოში, თუ ამგვარად არ გადაწყვეტს თხოვნის მიმღები სახელმწიფოს სასამართლო. თუმცა, თითოეულ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია მისცეს ასეთი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება სხვა ორგანოებს, თუ აღსასრულებელი სანქცია შეეხება მხოლოდ ჯარიმას ან კონფისკაციას და თუ შესაძლებელია ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება.

მუხლი – 38

საქმე შესაძლებელია გადაეცეს სასამართლოს ან 37–ე მუხლის შესაბამისად უფლებამოსილ ორგანოს თუ თხოვნის მიმღები სახელმწიფო შესაძლებლად მიიჩნევს აღსრულების მოთხოვნის განხორციელებისთვის მოქმედების დაწყებას.

მუხლი – 39

1. სასამართლოს მიერ აღსრულების მოთხოვნასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებამდე მსჯავრდებულ პირს მიეცემა შესაძლებლობა წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. იმართვის საფუძველზე სასამართლო მას მოუსმენს პირადად ან სასამართლო დავალების წერილების მეშვეობით. ცალსახა მოთხოვნის შემთხვევაში მსჯავრდებულს მოუსმენენ პირადად.

2. თუმცა, სასამართლოს შეუძლია გადაწყვიტოს აღსრულების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილების საკითხი იმ მსჯავრდებული პირის დაუსწრებლად, რომელიც მოითხოვს პირად მოსმენას, თუ იგი მომთხოვნ სახელმწიფოში პატიმრობაში იმყოფება. ამ გარემოებებში სანქციის შეცვლის 44–ე მუხლის შესაბამისად გადაწყვეტილება საბოლოო იქნება, სანამ თხოვნის მიმღებ სახელმწიფოში გადაყვანის შემდეგ მსჯავრდებულ პირს არ ექნება შესაძლებლობა წარსდგეს სასამართლოს წინაშე.

მუხლი – 40

1. სასამართლო, რომელიც აწარმოებს საქმეს, ან 37–ე მუხლის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანო, ამავე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დააზუსტებს:

ა) რომ სანქცია, რომლის აღსრულებასაც მოითხოვენ, გათვალისწინებულია ევროპული სისხლის სამართლებრივი განაჩენით;
ბ) რომ დაცულია მე–4 მუხლის მოთხოვნები;
გ) რომ მე–6 მუხლის ა) პუნქტში მოყვანილი პირობა არ არის შესრულებული ან რომ იგი ხელს არ შეუშლის აღსრულებას;
დ) რომ აღსრულება არ არის აკრძალული მე–7 მუხლის თანახმად;

ე) რომ, **in absentia** გამოტანილი განაჩენი ან **ordonnance penale**-ს შემთხვევაში დაცულია ამ თავის მე-3 ნაწილის მოთხოვნები.

2. თითოეულ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია მიანდოს სასამართლოს ან 37-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრულ ორგანოს ამ კონვენციით აღსრულებისათვის დადგენილი სხვა პირობების შემოწმება.

მუხლი - 41

თხოვნის მიმღებ აღსრულებასთან დაკავშირებით და 37-ე მუხლიტ გათვალისწინებული ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შედეგად ამ ნაწილის შესაბამისად მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები ექვემდებარება შემდგომ გასაჩივრებას.

მუხლი - 42

გადაწყვეტილებაში მოყვანილ ფაქტებთან დაკავშირებულ ოფიციალურ დასკვნებს, რომელთა საფუძველზეც არის მიღებული ეს გადაწყვეტილება, თხოვნის მიმღები სახელმწიფოსათვის სავალდებულო ძალა ექნებათ.

ბ - თავისუფლების აღკვეთის შემფარდებელი სანქციების აღსრულებასთან დაკავშირებული დებულებები

მუხლი - 43

როდესაც მსჯავრდებული პირი პატიმრობაში იმყოფება მომთხოვნ სახელმწიფოში იგი, თუ ამ სახელმწიფოს კანონი სხვაგვარად არ ადგენს, გადაყვანილ იქნება თხოვნის მიმღებ სახელმწიფოში როგორც კი მომთხოვნი სახელმწიფო მიიღებს თანხმობის შეტყობინებას აღსრულების შესახებ მოთხოვნაზე.

მუხლი - 44

1. თუ აღსრულების შესახებ მოთხოვნა მიღებულია, სასამართლოს შეუძლია მომთხოვნ სახელმწიფოში გამოტანილი თავისუფლების აღკვეთის შემფარდებელი სანქცია შეცვალოს თხოვნის მიმღები სახელმწიფოს კანონით ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებული სანქციით. ეს სანქცია მე-2 პუნქტში მოყვანილი შეზღუდვების დაცვით, შეიძლება იყოს განსხვავებული ხანგრძლივობისა და ხასიათისა, ვიდრე ის, რომელიც შეფარდებულ იქნა მომთხოვნ სახელმწიფოში. თუ ეს სანქცია მომთხოვნ სახელმწიფოში გათვალისწინებულ მინიმალურზე ნაკლებია სასამართლო არ იქნება შეზღუდული ამ მინიმუმით და შეუფარდებს მომთხოვნ სახელმწიფოში შეფარდებული სანქციის იდენტურ სანქციას.

2. სანქციის გადაწყვეტისას სასამართლო არ დაამძიმებს მსჯავრდებულის სასჯელს, როგორც ეს გამომდინარეობს მომთხოვნ სახელმწიფოში შეფარდებული სანქციიდან.

3. მომთხოვნ სახელმწიფოში შეფარდებული სანქციის ნებისმიერი ნაწილი და წინასწარი პატიმრობის ნებისმიერი ვადა, რომელიც მსჯავრდებულმა მოიხადა განაჩენის შემდეგ, მთლიანად გამოაკლდება საერთო ვადას. იგივე წესი გამოიყენება იმ ნებისმიერ პერიოდთან დაკავშირებით, როდესაც მსჯავრდებული პირი თხოვნის მიმღებ სახელმწიფოში იმყოფებოდა პატიმრობაში განაჩენის გამოტანამდე, თუ ამას მოითხოვდა ამ სახელმწიფოს კანონმდებლობა.

4. ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს ნებისმიერ დროს ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის დეკლარაციის დეპონირების გზით შეუძლია გამოხატოს დასტური წინამდებარე კონვენციის შესაბამისად განახორციელოს თავისუფლების აღკვეთის შემფარდებელი იგივე სანქცია, როგორიც გამოტანილია მომთხოვნ სახელმწიფოში. მიუხედავად ამისა, ამ წესის გამოყენება

შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ სახელმწიფოს კანონმდებლობა ითვალისწინებს მსგავსი დანაშაულისათვის სულ მცირე ასეთივე სანქციის შეფარდებას, რაც შეფარდებულია მომთხოვნ სახელმწიფოში, მაგრამ რომელიც უფრო მკაცრი ხასიათისაა. ამ პუნქტის შესაბამისად შეფარდებული სანქცია შესაძლებელია, თუ ამას მოითხოვს მისი ხანგრძლივობა და მიზანი, აღსრულებულ იქნას სხვა ხასიათის სასჯელთა აღსრულებისათვის გათვალისწინებულ დაწესებულებაში.

გ – ჯარიმებისა და კონფისკაციების აღსრულებასთან დაკავშირებული დებულებები

მუხლი – 45

1. თუ მიღებულია მოთხოვნა ჯარიმისა ან ფულადი თანხის კონფისკაციის აღსრულების შესახებ, სასამართლომ 37-ე მუხლის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანო გადაიყვანს ამოსაღები თანხის რაოდენობას თხოვნის მიმღები სახელმწიფოს ვალუტაში გადაწყვეტილების მიღების დროს არსებული ოფიციალური კურსით. ამგვარად ის დააფიქსირებს ჯარიმისა ან საკონფისკაციო თანხის ოდენობას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ამ სახელმწიფოს კანონმდებლობით ასეთივე დანაშაულისათვის გათვალისწინებული თანხის მაქსიმალურ ოდენობას, ან თუ ასეთი მაქსიმუმი არ არსებობს, მსგავსი დანაშაულის დროს ამ სახელმწიფოში ჩვეულებრივ ამოღებული ოდენობის მაქსიმუმს.

2. თუმცა, სასამართლოს, ან 37-ე მუხლის შესაბამისად უფლებამოსილ ორგანოს, შეუძლია დატოვოს მომთხოვნ სახელმწიფოში დაწესებული ჯარიმის ან საკონფისკაციო თანხის ოდენობა როდესაც ასეთივე დარღვევისათვის ასეთი სანქცია არ არის გათვალისწინებული თხოვნის მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობით, მაგრამ გათვალისწინებულია უფრო მკაცრი სანქციების შეფარდება. იგივე წესი გამოიყენება, თუ მომთხოვნ სახელმწიფოში შეფარდებული სანქცია აღემატება იგივე დანაშაულისათვის თხოვნის მიმღებ სახელმწიფოში გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას, მაგრამ ითვალისწინებს უფრო მკაცრი სანქციების გამოყენების შესაძლებლობას.

3. მომთხოვნ სახელმწიფოში დადგენილი გადახდის ნებისმიერი საშუალებები ან ნაწილობრივი გადახდები, აღიარებული იქნება თხოვნის მიმღებ სახელმწიფოში.

მუხლი – 46

1. როდესაც აღსრულების შესახებ მოთხოვნა ითვალისწინებს კონკრეტული ობიექტის კონფისკაციას, სასამართლოს, ან 37-ე მუხლის შესაბამისად უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია გასცეს ამ ობიექტის კონფისკაციის ბრძანება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგივე დარღვევისთვის თხოვნის მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობა ითვალისწინებს კონფისკაციას.

2. თუმცა, სასამართლოს ან 37-ე მუხლის შესაბამისად უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია განახორციელოს მომთხოვნ სახელმწიფოში შეფარდებული კონფისკაცია, თუ თხოვნის მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობა იგივე დარღვევისათვის ასეთ სანქციას არ ითვალისწინებს, მაგრამ ითვალისწინებს უფრო მკაცრი სანქციების გამოყენების შესაძლებლობას.

მუხლი – 47

1. ჯარიმისა და კონფისკაციის გზით ამოღებული მოგება გადაეცემა თხოვნის მიმღები სახელმწიფოს საჯარო ფონდებს მესამე მხარეთა უფლებებისათვის ზიანის მიუყენებლად.

2. კონფისკაციის შედეგად ამოღებული საკუთრება, რომლის მიმართაც მომთხოვნ სახელმწიფოს გააჩნია განსაკუთრებული ინტერესი შეიძლება გადაეგზავნოს მას თუ უკანასკნელი ამას მოითხოვს.

მუხლი – 48

თუ ჯარიმის ამოღება შეუძლებელია, თხოვნის მიმღები სახელმწიფოს სასამართლოს შეუძლია შეუფარდოს ალტერნატიული სანქცია, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას იმ შემთხვევაში, თუ ასეთ შემთხვევებში ამას ითვალისწინებენ ორივე სახელმწიფოს კანონმდებლობები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მომთხოვნი სახელმწიფო ცალსახად მოითხოვს მხოლოდ ჯარიმის ამოღებას. თუ სასამართლო გადაწყვეტს თავისუფლების აღმკვეთი ალტერნატიული სანქციის შეფარდებას, გამოიყენება შემდეგი წესები:

ა) თუ ჯარიმის შეცვლა თავისუფლების აღკვეთის შემფარდებელი სანქციით უკვე გათვალისწინებულია მომთხოვნ სახელმწიფოში გამოტანილი განაჩენით ან უშუალოდ გათვალისწინებულია ამ სახელმწიფოს კანონით, თხოვნის მიმღები სახელმწიფოს სასამართლო ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით განსაზღვრავს ასეთი სანქციის ხასიათს და ხანგრძლივობას. თუ მომთხოვნი სახელმწიფოს მიერ გათვალისწინებული თავისუფლების აღმკვეთი სანქციის ხანგრძლივობა თხოვნის მიმღები სახელმწიფოს კანონით დადგენილ მინიმალურ ვადზე ნაკლებია, სასამართლო არ იქნება შეზღუდული ამ მინიმუმით და შეუფარდებს მომთხოვნი სახელმწიფოს შეფარდებული სანქციის იდენტურ სანქციას. სანქციის განსაზღვრისას სასამართლო არ დაამძიმებს მსჯავრდებული პირის სასჯელს, როგორც ეს გათვალისწინებულია მომთხოვნ სახელმწიფოში გამოტანილი გადაწყვეტილებით.
ბ) ყველა სხვა შემთხვევაში თხოვნის მიმღები სახელმწიფოს სასამართლოს შეუძლია შეცვალოს ჯარიმა თავისი კანონის შესაბამისად, მომთხოვნი სახელმწიფოს კანონით დადგენილი ლიმიტების გათვალისწინებით.

დ – უფლების ჩამორთმევის აღსრულებასთან დაკავშირებული დებულებები

მუხლი – 49

1. როდესაც გაკეთებულია მოთხოვნა უფლების ჩამორთმევის აღსრულების შესახებ მომთხოვნ სახელმწიფოში შეფარდებული უფლების ჩამორთმევა განხორციელდება თხოვნის მიმღებ სახელმწიფოში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თხოვნის მიმღები სახელმწიფოს კანონი ადგენს უფლების ჩამორთმევას მოცემული დანაშაულისათვის.

2. საქმის მწარმოებელ სასამართლოს შეუძლია შეაფასოს უფლების ჩამორთმევის აღსრულების მიზანშეწონილობა თავისი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

მუხლი – 50

1. თუ სასამართლო ბრძანებს უფლების ჩამორთმევის აღსრულების ვადებს ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მაგრამ არა უმეტეს მომთხოვნ სახელმწიფოში გამოტანილ განაჩენში მითითებული ვადებისა.

2. სასამართლოს შეუძლია გასცეს უფელების ჩამორთმევის შესახებ მოთხოვნის აღსრულების ბრძანება მხოლოდ იმ უფლებებთან დაკავშირებით, რომელთა დაკარგვა ან გაუქმებაც ცალსახად არის მითითებული.

მუხლი – 51

უფლების ჩამორთმევასთან დაკავშირებით არ გამოიყენება მე-11 მუხლი.

მუხლი – 52

თხოვნის მიმღები სახელმწიფო ისარგებლებს მსჯავრდებული პირისათვის ამ ნაწილის გამოყენებით მიღებული გადაწყვეტილებით ჩამორთმეული უფლებების აღდგენის უფლებით.

თავი III
ევროპული სისხლის სამართლებრივი განაჩენების საერთაშორისო შედეგები

ნაწილი 1 ne bis in idem

მუხლი – 53

1. პირი, რომლის მიმართაც გამოტანილი იქნა ევროპული სისხლის სამართლებრივი განაჩენი, არ შეიძლება ივივე ქმედებისათვის მსჯავრდებული იქნას, დაექვემდებაროს სანქციის აღსრულებას ან სამართლებრივ დევნას სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოში:

ა) თუ იგი გაამართლეს;
ბ) თუ შეფარდეული სანქცია:

1. მთლიანად აღსრულდა ან აღსრულება მიმდინარეობს, ან
2. მთლიანად, ან აღსრულებულ ნაწილში, დაექვემდებარება ამნისტიას ან შეწყალებას, ან
3. აღარ აღსრულდება ვადის ამოწურვის გამო;

გ) თუ სასამართლომ გამოუტანა დამნაშავეს განაჩენი სანქციის შეფარდების გარეშე.

2. მიუხედავად ამისა, ხელშემკვრელი სახელმწიფო, თუ თავად არ მოითხოვა პროცესის დაწყება, არ იქნება ვალდებული აღიაროს ne bis in idem- ის შედეგები თუ ქმედება, რომლის საფუძველზეც იქნა გამოტანილი განაჩენი იმ პირის, დაწესებულების, ან მოცემულ სახელმწიფოში საჯარო სტატუსის მქონე ერთეულის წინააღმდეგ, ან თუ განაჩენის სუბიექტს თავად აქვს საჯარო სტატუსი ამ სახელმწიფოში.

3. მეტიც, ნებისმიერი ხელშემკვრელი სახელმწიფო, სადაც ჩადენილი იქნა ან, ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის თანახმად, ჩადენილად ჩაითვლება დანაშაული, არ არის ვალდებული აღიაროს **ne bis in idem-** *ის შედეგები, თუ თავად არ მოითხოვა პროცესის დაწყება.*

მუხლი – 54

თუ სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოში მსჯავრდებული პირის წინააღმდეგ ივივე ქმედების გამო დაწყებულია ახალი პროცესი, განაჩენის აღსრულების დროს მოხდილი თავისუფლების აღკვეთის ნებისმიერი ვადა გამოაკლება შესაძლო შეფარდებულ სანქციას.

მუხლი – 55

ეს ნაწილი არ ზღუდავს საზღვარგარეთულ სისხლის სამართლებრივ გადაწყვეტილებებზე დართული **ne bis in idem-** *ის შედეგებთან დაკავშირებული უფრო ფართო შიდასახელმწიფოებრივი დებულებების გამოყენებას.*

ნაწილი 2 – მხედველობაში მიღება

მუხლი – 56

თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფო, თავისი შეხედულების მიხედვით, კანონმდებლობით განუსაზღვრავს თავის სასამართლოებს თუ განაჩენის გამოტანის დროს რამდენად უნდა მიიღონ მათ მხედველობაში ბრალდებულის მოსმენის შემდეგ სხვა დარღ ვევისათვის გამოტანილი რომელიმე ევროპული სისხლის სამართლებრივი განაჩენი იმ მოსაზრებით, რომ დაურთონ ამ განაცენს ყველა შედეგი ან მათი ის ნაწილი, რომლის დართვაც კანონით გათვალისწინებულია ამ

სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიღებულ განაჩენებზე. იგი განსაზღვრავს ასეთი გადაწყვეტილების მხედველობაში მიღების პირობებს.

მუხლი – 57

თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფო თავისი შეხედულების მიხედვით კანონმდებლობით განუსაზღვრავს ბრალდებულის მოსმენის შემდეგ გამოტანილ ევროპული სისხლის სამართლებრივი განაჩენის მხედველობაში მიღების საკითხს რათა შესაძლებელი გახადოს მის ტერიტორიაზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე კანონით დართული დისკვალიფიკაციის მთლიანი ან ნაწილობრივი გამოყენება. იგი განსაზღვრავს ასეთი გადაწყვეტილების მხედველობაში მიღების პირობებს.

თავი IV
დასკვნითი დებულებები

მუხლი – 58

1. ეს კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტზე წარმოდგენილი წევრი სახელმწიფოებისათვის. იგი ექვემდებარება რატიფიცირებას ან შეერთებას. სარატიფიკაციო ან შეერთების სიგელი დეპონირებული იქნება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

2. ეს კონვენცია ძალაში შედის სარატიფიკაციო ან შეერთების მესამე სიგელის გადაცემის თარიღიდან სამი თვის შემდეგ.

3. ხელმომწერი სახელმწიფოს მიერ შემდგომი რატიფიცირების ან მიერთების დროს კონვენცია ძალაში შევა სარატიფიკაციო ან შეერთების სიგელის გადაცემის თარიღიდან სამი თვის შემდეგ.

მუხლი – 59

1. ამ კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიეტეტს შეუძლია მიიწვიოს არაწევრი სახელმწიფო მასზე შეერთებისათვის, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მოწვევის შემცველი რეზოლუცია მიიღებს ევროსაბჭოს წევრი იმ სახელმწიფოების ერთსულოვან თანხმობას, რომლებმაც მოახდინეს ამ კონვენციის რატიფიცირება.

2. ასეთი შეერთება განხორციელდება ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის შეერთების სიგელის დეპონირების თარიღიდან სამი თვის შემდეგ.

მუხლი – 60

1. ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს, ხელმოწერის ან რატიფიცირების, შეერთების თუ მიღების სიგელის გადაცემის დროს, შეუძლია განსაზღვროს ის ტერიტორია ან ტერიტორიები, რომელზეც გავრცელდება ამ კონვენციის მოქმედება.

2. ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს, ხელმოწერის ან რატიფიცირების, შეერთების თუ მიღების სიგელის გადაცემის დროს, ან მოგვიანებით, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული განცხადებით შეუძლია განავრცოს ამ კონვენციის მოქმედება სხვა ტერიტორიაზე ან ტერიტორიებზე, რომელიც მითითებულია განცხადებაში და რომლის საერთაშორისო ურთიერთობებზე იგი არის პასუხისმგებელი ან რომლის სახელითაც იგი უფლებამოსილია იკისროს ვალდებულებები.

3. წინა პუნქტის შესაბამისად გაკეთებული განცხადება შესაძლოა, განცხადებაში მითითებულ ნებისმიერ ტერიტორიასთან დაკავშირებით, ამ კონვენციის 66-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად გამოთხოვილ იქნას.

მუხლი – 61

1. ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია, ხელმოწერის ან რატიფიცირების, შეერთების თუ მიღების სიგელის გადაცემის დროს, განაცხადოს, რომ სარგებლობს ამ კონვენციის **I** დანართში მოყვანილი ერთი ან რამდენიმე დათქმის უფლებით.

2. ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გამოითხოვოს მის მიერ წინა პუნქტის შესაბამისად გაკეთებული დათქმა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული განცხადებით, რომელიც ძალაში შედის მიღებისთანავე.

3. ხელშემკვრელ სახელმწიფოს, რომელმაც გააკეთა დათქმა ამ კონვენციის რომელიმე დებულებასათან დაკავშირებით არ აქვს უფლება მოითხოვოს ამ დებულების გამოყენება რომელიმე სხვა სახელმწიფოს მიერ; თუმცა, თუ მისი დათქმა ნაწილობრივი ან პირობითია, მას შეუძლია ამ დებულების გამოყენების მოთხოვნა იმ ზომით, როგორითაც თავად იყენებს მას.

მუხლი – 62

1. ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს ნებისმიერ დროს შეუძლია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული განცხადებით განსაზღვროს ის სამართლებრივი დებულებები, რომლებიც შევა ამ კონვენციის **II** და **III** დანართებში.

2. **II** და **III** დანართებში ჩამოთვლილი ეროვნული დებულებების ნებისმიერი ცვლილებების შესახებ უნდა ეცნობოს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, თუ ასეთი ცვლილება დანართში არსებულ ინფორმაციას არასწორს გახდის.

3. წინა პუნქტის შესაბამისად **II** და **III** დანართებში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება თითოეულ ხელშემკვრელ სახელმწიფოში ძალაში შევა მათ მიერ ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის შეტყობინებიდან ერთი თვის შემდეგ.

მუხლი – 63

1. ამ კონვენციის გამოყენებისათვის თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფო რატიფიცირების, მიერთების ან მიღების ინსტურმენტის დეპონირებისას მიაწვდის ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს შესაბამის ინფორმაციას ამ სახელმწიფოში გამოყენებული სანქციების და მათი აღრულების შესახებ.

2. ნებისმიერი ცვლილება, რომელიც წინა პუნქტის შესაბამიასად გადაცემულ ინფორმაციას არასწორს გახდის, უნდა ეცნობოს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.

მუხლი – 64

1. ეს კონვენცია არ შეეხება ხელშემკვრელ სახელმწიფოთა მიერ ექსტრადიციის სფეროში დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან და განსაკუთრებულ საკითხებზე დადებული მრავალმხრივი საერთაშორისო კონვენციებიდან გამომდინარე უფლებებსა და მოვალეობებს, და არც ხელშემკვრელ სახელმწიფოთა შორის არსებულ იმ სხვა კონვენციების დებულებებს, რომლებიც წინამდებარე კონვენციის მიერ მოწესრიგებულ საკითხებს ეხება.

2. ხელშემკვრელ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ დადონ ერთმანეთის შორის ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებები ამ კონვენციით მოწესრიგებულ საკითხებზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული გამიზნულია ამ კონვენციის დებულებათა შესავსებად ან მასში განთავსებული პრინციპების განხორციელების გასაადვილებლად.

3. თუმცა, თუ ორმა ან მეტმა სახელმწიფომ უკვე მოაწესრიგა, ან მომავალში მოაწესრიგებს ამ სფეროში თავიანთ ურთიერთობებს იდენტური კანონმდებლობის მეშვეობით, ან შექმნა, თუ მომავალში შექმნის თავიანთ განსაკუთრებულ სისტემას, ისინი უფლებამოსილი იქნებიან დაარეგულირონ თავიანთი ურთიერთობები ამ სისტემისა და კანონმდებლობის შესაბამისად, ამ კონვენციის დებულებათა მიუხედავად.

4. იმ ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა, რომლებმაც ამ საკითხზე არსებულ თავიანთ ურთიერთობებში შეწყვიტეს ამ კონვენციის დებულებათა გამოყენება უნდა აცნობონ ამის შესახებ ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.

მუხლი – 65

ევროპის საბჭოს სისხლის სამართლის საკითხთა ევროპული კომიტეტი მუდმივად ინფორმირებული იქნება ამ კონვენციის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ და ყოველ აუცილებელ ზომას მიიღებს მისი შესრულების დროს წამოჭრილი სირთულეების მეგობრული გადაწყვეტისათვის.

მუხლი – 66

1. ეს კონვენცია მოქმედებს უვადოდ.

2. ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია მოახდინოს ამ კონვენციის დენონსირება ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის შეტყობინების გაგზავნით.

3. ასეთი დენონსაცია ძალაში შევა ასეთი შეტყობინების მიღებიდან ექვსი თვის შემდეგ.

მუხლი – 67

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტზე წარმოდგენილ ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოებს და ამ კონვენციაზე მიერთებულ ყველა სახელმწიფოს შეატყობინებს:

ა) ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;
ბ) რატიფიცირების, მიერთებისა და მიღების ნებისმიერი ინსტრუმენტის დეპონირების შესახებ;
გ) 58-ე მუხლის შესაბამისად ამ კონვენცის ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღის შესახებ;
დ) მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მიღებული ნებისმიერი განცხადების შესახებ;
ე) 44-ე მუხლი მე-4 პუნქტის შესაბამისად მიღებული ნებისმიერი განცხადების შესახებ;
ვ) მე-60 მუხლის შესაბამისად მიღებული ნებისმიერი განცხადების შესახებ;
ზ) 61-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი დათქმისა და ამ დათქმაზე უარის შესახებ;
თ) 61-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად მიღებული ნებისმიერი განცხადებისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მიღებული ნებისმიერი შეამდგომი შეტყობინების შესახებ;
ი) 63-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად მიღებული ნებისმიერი განცხადებისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მიღებული ნებისმიერი შემდგომი შეტყობინების შესახებ;
კ) 64-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად დადებული ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმების დადების თაობაზე მიღებული ნებისმიერი შეტყობინების შესახებ, ან 64-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი იდენტური კანონმდებლობის შესახებ;
ლ) 66-ე მუხლის შესაბამისად მიღებული ნებისმიერი შეტყობინებისა და დენონსაციის ძალაში შესვლის თარიღის შესახებ.

ეს კონვენცია და მის შესაბამისად გაკეთებული განცხადებები და შეტყობინებები გამოიყენება მხოლოდ იმ გადაწყვეტილებების აღსრულების დროს, რომლებიც მიღებულ იქნა შესაბამის სახელმწიფოებს შორის ამ კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ.

ამის დასტურად, ქვემორე ხელის მომწერებმა, სათანადო უფლებამოსილებით, ხელი მოაწერეს ამ კონვენციას.

შესრულებულია ჰააგაში, 1970 წლის 28 მაისს ერთ პირად, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე, ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს და ინახება ევროპის საბჭოს არქივებში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი გადასცემს თითოეულ ხელმომწერ და მიერთებულ სახელმწიფოს კონვენციის დამოწმებულ ასლებს.

დანართი I

თითოეულ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია გააკეთოს დათქმა, რომ იტოვებს უფლებას:

ა) უარი თქვას აღსრულებაზე, თუ მიიჩნევს, რომ განაჩენი უკავშირდება ფისკალურ ან რელიგიურ დანაშაულს;
ბ) უარი თქვას იმ განაჩენის აღსრულებაზე, რომელიც გამოტანილია იმ ქმედების გამო, რომელიც თხოვნის მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობით მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს განხილვის საგანი იქნებოდა;
გ) უარი თქვას ევროპული სისხლის სამართლებრივი განაჩენის აღსრულებაზე, რომელიც მომთხოვნი სახელმწიფოს ორგანოების მიერ მიღებულია ამავე სახელმწიფოს კანონმდებლობით დადგენილი საპროცესო ვადის ამოწურვის შემდეგ წარმოებული პრცესის შედეგად;
დ) უარი თქვას in absentia გამოტანილი განაჩენისა ან ordonnance penales აღსრულებაზე, ან გადაწყვეტილებათა ამ კატეგორიებიდან ერთ-ერთის აღსრულებაზე;
ე) უარი თქვას მე-8 მუხლის დებულებათა გამოყენებაზე, სადაც სახელმწიფოს გააჩნია უპირატესი კომპეტენცია და ამ შემთხვევაში აღიაროს მხოლოდ დროის ლიმიტის შემაჩერებელი ან გამაუქმებელი იმ აქტების ექვივალენტურობა, რომელიც ამოიწურა თხოვნის მიმღებ სახელმწიფოში.
ვ) გამოიყენოს III თავის მხოლოდ ერთ-ერთი ნაწილი.

დანართი II

სისხლის სამართლის კანონმდებლობის გარდა
განსახილველ დანაშაულთა ნუსხა.

დანართი III

Ordonnance penales ნუსხა.